

ინსტრუქცია

(დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეთა შესარჩევი კონკურსის
დამკვირვებელთათვის)

დუშეთი

2013 წლის 25 ნოემბერი

1. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეთა შესარჩევი კონკურსზე დამკვირვებლებად დაიშვებიან მხოლოდ იურიდიული პირები;
2. ერთ იურიდიულ პირს უფლება აქვს ტესტირებაზე დამკვირვებლად წარმოადგინოს მხოლოდ ერთი კანდიდატურა;
3. დამკვირვებლად ყოფნის მსურველმა ა/წ 29 ნოემბრის -12. 00 სთ.-მდე განცხადებით უნდა მიმართოს საკონკურსო-საატესტაციო კომისიას;
4. საკონკურსო კომისიისათვის წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი:
 - განცხადება (საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის სახელზე);
 - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (დამოწმება საჭირო არ არის);
 - წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი;

შენიშვნა: დაუშვებელია დამკვირვებლად რეგისტრირებული ერთი პირის მეორეთი ჩანაცვლება. ტესტირებაზე დამკვირვებლად დაიშვებიან მხოლოდ რეგისტრირებული პირები.

5. საკონკურსო კომისია განიხილავს დამკვირვებელთა კანდიტურებს და 29 ნოემბრის 18.00-მდე ანიჭებს სათანადო სტატუსს;
6. დამკვირვებელი ვალდებულია 29 ნოემბერს 18. 00-ზე გამოცხადდეს საკონკურსო კომისიაში, გაეცნოს დამკვირვებელთა მუშაობის წესებს და მიიღოს მისთვის განკუთვნილი ბეიჯი.
7. დამკვირვებელი უფლებამოსილია დააკვირდეს ტესტირების პროცესს, მაგრამ არ აქვს რაიმე ფორმით ჩარევის უფლება. ხარვეზების დაფიქსირების შემთხვევაში დამკვირვებელმა უნდა მიმართოს მეთვალყურესა და საკონკურსო კომისიას.
8. საგამოცდო ოთახის თვითნებურად დატოვების შემთხვევაში დამკვირვებელი აღარ დაიშვება ტესტირებაზე.

დამკვირვებელთათვის სავალდებულოა აღნიშნული ინსტრუქციის დაცვა. ამ ინსტრუქციის რომელიმე პუნქტის დარღვევა გამოიწვევს დამკვირვებლის სტატუსის მოხსნას და აღნიშნული პირის მიერ დაკვირვების პროცესის შეწყვეტას.

საკონკურსო-საატესტაციო კომისია გისურვებთ წარმატებებს!